GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

11 Aralık / დეკემბერი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6 676.3	10.4%	17.3 %	0.1%

INVEST IN GEORGIA- 2020-2023 Faaliyet Raporu

INVEST IN GEORGIA-ს 2020-2023 წლების ანგარიში

"Gürcistan'da Üret" Ajansı INVEST IN GEORGIA'nın faaliyet raporunu sundu.

Sunum Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Levan Davitashvili'nin açılış konuşmasıyla başlamış olup faaliyet raporu Ajans Müdürü Mikheil Khidureli tarafından sunuldu.

25 Uluslararası proje, 6 000 yeni iş yeri ve 1 milyar larilik yatırım- rapora göre ajasın 2020-2023 yatırım sonuçları bu şekildedir.

"Gürcistan'da Üret" Müdürü Mikheil Khidureli'ye göre, ajans 2020 yılında tespit edilmiş stratejiyi aştı. INVEST IN GEORGIA 3 yıllık stratejisi çerçevesinde uluslararası uygulamaları hesaba katarak, potansiyel yatırımcı şirketlerinin listesini oluşturmuş olup bu listeden 2 700'den daha fazla şirketle iletişime geçip 300'ün üzerinde toplantı düzenlenmişti.

Strateji kapsamında uluslararası danışmanlık şirketleriyle işbirliği halinde proje arama programına (Lead Generation) başlatıldı.

Yatırım ortamı popülerleştirme yolları arasında INVEST IN GEORGIA'nın bir diğer uygulaması- lokasyon danışmanlarıyla işbirliği vurgulanmalı.

Ajansın desteğiyle son 3 yılda 25'ten daha fazla lokasyon danışmanı ve uzmanı gelerek, sayesinde potansiyel yatırımcılar Gürcistan'a yatırım yapmaya karar verirler.

Bununla birlikte, INVEST IN GEORGIA Gürcistan'ın iş ortamı hakkında tanınırlığı arttırmak amacıyla uluslararası medya kampanyaları da yürütmekte. Raporlama döneminde çeşitli küresel medya organlarında, örneğin Bloomberg, fDi Intelligence, Global Finance de dahil olmak üzere Gürcistan'ın yatırım potansiyeline dair 50'yi aşkın makale ve rapor yayınlandı.

2020-2023 yatırım stratejisi kapsamında "Gürcistan'da Üret" Ajansın geliştirip gerçekleştirdiği bir diğer önemli program- FDI Hibesi Devlet Programıdır. Program çerçevesinde uluslararası şirketler yatırılan sermayenin %15'ine kadar parayı iade alabilirler. Programın halihazırda iki lehtarı var- çok uluslu firmalar olan Lineate ve Girteka.

Raporlama döneminde gerçekleştirilen faaliyetler sonucunda Gürcistan'a Indorama, Girteka, Teleperformance, Concentrix, TEPCO ve benzeri diğer büyük uluslararası şirketler yatırımda bulundular.
Ajans ortak ülkelere yatırım çekme konusunda deneyimlerini başarılı bir şekilde paylaşır.
Yatırım çekme stratejisi uygulanmasında ajansa IFC, USAID, EBRD, GIZ, UNGCNG, UN WOMEN, ADA, Gürcistan'da AB Heyeti dahil uluslararası ortaklar katkıda bulunmuşlardır.
INVEST IN GEORGIA'nın faaliyet raporu sunumuna hükümet ve yasama organları temsilcileri, kordiplomatik ve donör kuruluşların temsilcileri, ayrıca iş alemi sektörü ve yatırımcı şirketler iştirak etmişlerdir.

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში" INVEST IN GEORGIA-ს ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, ანგარიშის პრეზენტაცია კი სააგენტოს ხელმძღვანელმა, მიხეილ ხიდურელმა წარადგინა.
25 საერთაშორისო პროექტი, 6 000 ახალი სამუშაო ადგილი და 1 მილიარდი ლარის ინვესტიცია - ანგარიშის თანახმად, ასე გამოიყურება 2020-2023 წლების სააგენტოს საინვესტიციო შედეგები.
„აწარმოე საქართველოში" დირექტორის, მიხეილ ხიდურელის თქმით, სააგენტომ გადაჭარბებით შეასრულა 2020 წელს შემუშავებული სტრატეგია.
3-წლიანი სტრატეგიის ფარგლებში, INVEST IN GEORGIA-მ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავა პოტენციური ინვესტორი კომპანიების სია, რომელთაგან 2 700-ზე მეტ კომპანიასთან მოხდა დაკავშირება და შედგა 300-ზე მეტი შეხვედრა.
სტრატეგიის ფარგლებში, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიებთან თანამშრომლობით დაიწყო პროექტების მოძიების პროგრამაც (Lead Generation).
საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაციის მიზნით, აღსანიშნავია INVEST IN GEORGIA-ს კიდევ ერთი მიმართულება - ლოკაციის კონსულტანტებთან თანამშრომლობა.
სააგენტოს ხელშეწყობით, ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყანაში 25-ზე მეტი ლოკაციის კონსულტანტი და ექსპერტი ჩამოვიდა, რომელთა დახმარებითაც, პოტენციური ინვესტორები ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელების გადაწყვეტილებას იღებენ.
ამასთან, საქართველოს ბიზნეს გარემოს შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, INVEST IN GEORGIA საერთაშორისო მედია კამპანიებსაც აწარმოებს. საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა გლობალურ მედია საშუალებაში, მათ შორის - Bloomberg, fDi Intelligence, Global Finance - გამოქვეყნდა 50-ზე მეტი სტატია და ანგარიში საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ.
კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც 2020-2023 წლების საინვესტიციო სტრატეგიის ფარგლებში სააგენტომ „აწარმოე საქართველოში" შეიმუშავა და განახორციელა, FDI გრანტის სახელმწიფო პროგრამაა. პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო კომპანიებს საშუალება აქვთ ინვესტირებული თანხის 15%-მდე უკან დაიბრუნონ. პროგრამას უკვე ყავს ორი ბენეფიციარი - მულტინაციონალური კომპანიები: Lineate და Girteka.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების შედეგად, საქართველოში ინვესტიციები განახორციელეს ისეთმა მსხვილმა საერთაშორისო კომპანიებმა, როგორებიცაა: Indorama, Girteka, Teleperformance, Concentrix, TEPCO და სხვები. აღსანიშნავია რომ, ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, სააგენტო წარმატებით უზიარებს გამოცდილებას პარტნიორ ქვეყნებსაც.

სააგენტოს ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიის განხორციელებაში, დახმარებას უწევდნენ საერთაშორისო პარტნიორები, მათ შორის: IFC, USAID, EBRD, GIZ, UNGCNG, UN WOMEN, ADA, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში.

INVEST IN GEORGIA-ს ანგარიშის პრეზენტაციას ესწრებოდნენ მთავრობის და საკანონმდებლო ორგანოს წევრები, დიპლომატიური კორპუსის და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე ბიზნეს სექტორი და ინვესტორი კომპანიები.

En Fazla Doğrudan Yabancı Yatırımların Gerçekleştirildiği Sektörler

სექტორები, სადაც ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა

Geostat'ın ön verilerine göre Gürcistan'a gerçekleştirilmiş doğrudan yabancı yatırımlarının değeri 2023'ün 3. çeyreğinde bir önceki seneye kıyasla %61.5 daha az olan 316.0 milyon doları teşkil etmiştir.

Düşüşün temel nedeni borç yükümlülükleri ve yeniden yatırım değerindeki azalmadır.

Aynı dönem içerisinde geçen seneye göre ana sermaye 2.5 artarak 590.3 milyon doları bulmuş, yeniden finansman değeri ise %30 azalıp 329.2 milyon dolar oldu.

Bunun haricinde Geostat'ın verilerine göre 2023'ün 3. çeyreğinde en fazla doğrudan yabancı yatırım finans ve sigorta sektörüne yapılmıştır ve toplam doğrudan yabancı yatırımlarının %25.4'ü olan 80.2 milyon doları bulmuş.

İkinci sırada ulaştırma sektörüdür- 61.9 milyon dolar (%19.6), üçüncü sırada ise bilişim ve iletişim sektörü yer almaktadır- 41.0 milyon dolar (%13.0).

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

5 En büyük ekonomik sektörün toplam yatırım değerindeki payı %77.3'tür.

En Fazla Doğrudan Yabancı Yatırımların Gerçekleştirildiği TOP-5 Sektör:

- Finans ve sigorta faaliyetleri – 80.2 milyon dolar
- Ulaştırma – 61.9 milyon dolar
- Bilişim ve iletişim – 41 milyon dolar
- Enerji – 31.7 milyon dolar
- Sanat, eğlenme ve dinlenme – 29.5 milyon dolar

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2023 წლის III კვარტალში 316.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეს კი 61.5 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.
შემცირების გამომწვევ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს სავალო ვალდებულებების და რეინვესტიციის მოცულობის შემცირება.
იმავე პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სააქციო კაპიტალი 2.5-ჯერ გაიზარდა და 590.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო რეინვესტიციის მოცულობა 30 პროცენტით შემცირდა და 329.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.
ამასთან, საქსტატის მონაცემებით 2023 წლის III კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში განხორციელდა და 80.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 25.4 პროცენტია.
მეორე ადგილს იკავებს ტრანსპორტის სექტორი - 61.9 მლნ აშშ დოლარით (19.6 პროცენტი), ხოლო მესამეზე იმყოფება ინფორმაციის და კომუნიკაციის სექტორი 41.0 მლნ აშშ დოლარით (13.0 პროცენტი).
ხუთი უმსხვილესი ეკონომიკის სექტორის წილი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 77.3 პროცენტს შეადგენს.

Top-5 სექტორი, სადაც ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა:

- საფინანსო დასადაზღვევო საქმიანობები - 80.2 მლნ დოლარი
- ტრანსპორტი - 61.9 მლნ დოლარი
- ინფორმაცია და კომუნიკაცია - 41 მლნ დოლარი
- ენერგეტიკა - 31.7 მლნ დოლარი
- ხელოვნება, გართობა და დასვენება - 29.5 მლნ დოლარი

Gürcistan'da İnşaatın Değer İndeksi
მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2023'ün Ekim ayında inşaatın değer indeksi bir önceki aya göre yüzde 0.2 azaldı.

Söz konusu değişiklik toplam indekse yüzde -1.17'lik katkı sağlayan inşaat sektöründe çalışanların aylık ortalama nominal maaşlarının yüzde 4.5 azalmasına ilişkindir.

Şubat 2022'ye kıyasla, inşaat değer indeksi %12.4 artmış durumda. Bunun esas nedeni ise toplam indekse %5.91 ve %4.19'luk katkı sağlayan inşaat sektöründe çalışanların aylık ortalama nominal maaşlarının %26.2 ve inşaat malzemelerinin %7.4 artmasıdır.

2023 წლის ოქტომბერში მშენებლობის ღირებულების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.2 პროცენტით შემცირდა.

აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 4.5 პროცენტიანი შემცირებით, რამაც -1.17 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

2022 წლის თებერვალთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი 12.4 პროცენტით გაიზარდა, რაც უმეტესწილად, გამოწვეული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 26.2 პროცენტიანი ზრდით და სამშენებლო მასალების 7.4 პროცენტიანი გაძვირებით, რამაც, შესაბამისად, 5.91 და 4.19 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LCWAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

3. Çeyrekte Gürcistan'a En Fazla Yatırım Gerçekleştirdiği Ülkeler

ქვეყნები, საიდანაც წელს III კვარტალში ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა

Geostat'ın ön verilerine göre Gürcistan'a gerçekleştirilen doğrudan yabancı yatırımların değeri 2023'ün 3. çeyreğinde geçen seneye kıyasla %61.5 daha az olan 316.0 milyon doları bulmuştur.

Geçen yılın 3. çeyreğinde yatırım değeri 820.3 milyon dolardı.

Beş en büyük yatırımcı ülkenin payı toplam değerin %58.7'sini oluşturuyor.

2023'ün 3. çeyreğinde Gürcistan'a yapılmış doğrudan yabancı yatırımlara göre, en büyük yatırımcı ülkeler aşağıdaki gibidir:

- ABD – 51.8 milyon dolar
- Birleşik Krallık – 45.8 milyon dolar
- Hollanda – 45.3 milyon dolar
- Türkiye – 23.3 milyon dolar
- Çin – 19.3 milyon dolar
- İspanya – 16.5 milyon dolar
- Azerbaycan – 16.4 milyon dolar
- Kazakistan – 15.5 milyon dolar
- Danimarka – 13.9 milyon dolar
- Malta – 13.7 milyon dolar

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2023 წლის III კვარტალში 316.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 61,5%-ით ნაკლებია, წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

შარშან, III კვარტალში ინვესტიციების მოცულობა 820.3 მლნ აშშ დოლარი იყო.

ხუთი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 58.7 პროცენტს შეადგენს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

2023 წლის III კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა:

- აშშ - 51.8 მლნ აშშ დოლარი
- გაერთიანებული სამეფო - 45.8 მლნ აშშ დოლარი
- ნიდერლანდები - 45.3 მლნ აშშ დოლარი
- თურქეთი - 23.3 მლნ აშშ დოლარი
- ჩინეთი - 19.3 მლნ აშშ დოლარი
- ესპანეთი - 16.5 მლნ აშშ დოლარი
- აზერბაიჯანი - 16.4 მლნ აშშ დოლარი
- ყაზახეთი - 15.5 მლნ აშშ დოლარი
- დანია - 13.9 მლნ აშშ დოლარი
- მალტა - 13.7 მლნ აშშ დოლარი

Google Yeni Yapay Zekası Gemini'yi Tanıttı

Google-მა ახალი ხელოვნური ინტელექტი Gemini გამოუშვა

2023-2024 Kış Sezonu 20 Aralık'ta Başlayacak

2023-2024 წლის ზამთრის სეზონი 20 დეკემბერს გაიხსნება

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Çay, Bal, Ceviz, Reçeller- Gürcü Gıda Ürünleri Doha'nın LuLu Hypermarket'inin Her Şubesinde Satılacaktır

ჩაი, თაფლი, ნიგოზი, მურაბები - ეს ქართული პროდუქტები დოჰას LuLu Hypermarket-ის ყველა ქსელში გაიყიდება

Görünebilir Taşıt Emisyonu İçin 3 Ayda 2 460 Kişi Para Cezasına Çarptırıldı

ავტომობილის ხილულ გამონაბოლქვზე 3 თვეში 2 460 პირი დაჯარიმდა

Gürcistan'da 23 000'i Aşkın VAZ Markalı Araba Kayıtlı

საქართველოში 23 ათასზე მეტი VAZ-ის მარკის ავტომობილია

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LCWAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6695 TRY/GEL – 0.0921 EUR/GEL – 2.8793 GBP/GEL – 3.4164

USD/GEL

27 - 04 Ekım 2023

USD/TR

27 - 04 Ekım 2023

TRY/GEL

27 - 04 Ekım Kasım 2023



BTC – 41, 725, 08

27 - 04 Ekım Kasım 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING